ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №22

ქ. თბილისი **30.11.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;
შალვა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;
არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;
თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საუნჯის წარმომადგენლები:
მარგარიტა კუპრაშვილი;
ნათია ქაჯაია ;

შპს სკოლა ოპიზა:
გიორგი გეთიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
გოჩა ურუშაძე - დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციის დარგში;

შპს ქორალი:
ნ. ჯანიბეგაშვილი - დირექტორი;
ი. ჯიშიაშვილი - დირექტორის მოადგილე

ა(ა)იპ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზია :
გ. კობლიშვილი - დირექტორი;
თ. თათელაძე - სასწავლო ნაწილის გამგე

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
ნელი ნასყიდაშვილი;
ლეილა გველესიანი;
ნოდარ ანგურიძე;
ქეთევან რეხვიაშვილი;
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი;
მაია ბოჭორიშვილი;
ლია ბერიძე;
სერგო დურგლიშვილი;
ნატო გაბოშვილი;
პეტრე ბაბილუა.

სხდომა 15:11 საათზე დაიწყო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საუნჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა ოპიზას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქორალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს საუნჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნელი ნასყიდაშვილმა და ლეილა გველესიანმა წარმოადგინეს:

პროგრამულ ნაწილთან მიმართებით: სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლება მოიაზრებს კემბრიჯის გამოცდებისათვის მოსწავლეთა მომზადებას. ყოველ კლასში, საათობრივი ბადის შესაბამისად, ინგლისური ენის სწავლებას ნაცვლად 3 კვირეული საათისა ეთმობა ან 6 ან 8 საათი, აქედან 2 საათი ეთმობა გრამატიკის წესების შესახებ ცოდნის შეძენას, 2 საათი მოსმენის უნარების განვითარებისთვის მეცადინეობების ჩატარებას, 2 საათი ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ამასთან, ყოველ ამ მიმართულებაზე გამოყოფილია ერთი მასწავლებელი და შემაჯამებელი დავალებები ჩატარებული აქვს მხოლოდ ერთ მათგანს. დანარჩენ 2 მასწავლებელს შემაჯამებელი დავალებების ჩატარება არ ევალებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლის დირექციასა და მასწავლებელებს გაეწია რეკომენდაცია: მიუხედავად ეროვნული სასწავლო გეგმის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნისა, რომ: „გაძლიერებული სწავლების საგნები საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლაში, აგრეთვე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი კერძო სკოლაში შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზოგდასანამანათლებლო დაწესებულებას უფლება არა აქვს საფეხურის ფარგლებში საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი. გამონაკლისი კერძო სკოლებისთვის დაიშვება სამინისტროსთან შეთანხმებით." წლის ბოლოსა და საფეხურების ბოლოს დასახული მიზნების უზრუნველსაყოფად უცხოური ენის სწავლება შვიდი მიმართულებით უნდა გაიშალოს: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება (ამონარიდი უცხოური ენის სტანდარტიდან). ყველა ამ მიმართულებას უნდა მოიცავდეს შემაჯამებელი დავალებების სხვადასხვა ფორმა. ასევე აღსანიშნია, რომ სპორტის სახეობებიდან სკოლას არჩეული აქვს ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და რაგბი. აქედან პირველი ორი დაწყებით საფეხურზეც ხორციელდება, რაც დაწყებით საფეხურზე სპორტის სტანდარტს ეწინააღმდეგება. სპორტის მასწავლებელს და სკოლის დირექციას გაეწიათ რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გაფორმდა სკოლის დირექტორის ბრძანება სპორტის სწავლებასთან დაკავშირებული გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ვიზიტის პერიოდში მასწავლებელმა წარმოადგინა სპორტის სასწავლო პროგრამა დაწყებით საფეხურზე.

ექსპერტთა განცხადებით, მატერიალური და ადამიანური რესურსების ნაწილში ხარვეზი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად გასწორებადი იყო პრობლემური საკითხები.

ექსპერტი ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით, ინგლისურ ენასთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ვინაიდან უცხო ენების გაძლიერებული სწავლება სკოლას მისიაშიც უწერია, თუმცა სკოლის პედაგოგებთან და დირექტორთან გასაუბრების შემდეგ, ექსპერტებმა საჭიროდ მიიჩნიეს რეკომენდაცია გაეწიათ ამასთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენელმა ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საპასუხოდ განაცხადა, რომ ვინაიდან გრიფმინიწებული სახელმძღვანელოს გარდა სხვა სახელმძღვანელოებითაც ასწავლიდნენ, სკოლამ აღარ ჩათვალა საჭიროდ შემაჯამებელი დავალება, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ შემაჯამებელი დავალებების უგულებელყოფა არ არის გამართლებული.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ვინ იყო პასუხისმგებელი იმაზე, რომ მოსწავლე გადის შედეგზე, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამაზე პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ განაცხადა, რომ შეუზღლია 231 მოსწავლის მიღება, ექსპერტებმაც დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საუნჯისთვის ავტორიზაციის მინიჭების და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი. საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საუნჯეს (ს/კ:200073623) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

2. შპს სკოლა ოპიზის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქეთევან რეხვიაშვილმა, ნოდარ ანგურიძემ და ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა წარადგინეს:

პროგრამულ სტანდარტთან მიმართებით, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით VII,VIII, IX, X კლასებში განსაზღვრული აქვს სამი გამოცდა, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ესგ-ს მიხედვით თითოეულ კლასში დასაშვებია გამოცდა მხოლოდ ორ საგანში. ასევე აღსაღნიშნია, რომ სკოლის ვებ-გვერდზე არის განთავსებული ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ვიზიტის მსვლელობისას არ ფუნქციონირებდა.

მატერიალურ სტანდარტთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდისთვის, პირველ შენობაზე (საკადასტრო კოდი 01.19.20.003.082) საჯარო რეესტრში დაწყებული იყო და შემდეგ შეჩერებული სარეგისტრაციო წარმოება უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, საქმე ეხებოდა ფართის რაოდენობაში შეუსაბამობას საჯარო რეესტრის ჩანაწერსა და მერიის საპროექტო დოკუმენტს შორის. ამიტომ დასკვნაში აღნიშნული ფართმა შეიძლება მცირედით განიცადოს ცვლილება.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით, მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომელთა რეესტრის მიხედვით ფიქსირდება ანა მურვანიძე სკოლის ფსიქოლოგად, ასევე ინგლისურის პედაგოგად ნინო ჩუბინიძე , ორივე შემთხვევაში სკოლაში არ იყო შესაბამისი ხელშეკრულებები, აღნიშნული საკითხის მოკვლევისას სკოლამ განაცხადა , რომ ორივე თანამშრომელი იმყოფება დეკრეტულ შვებულებაში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ შეიძლება სკოამ თვითონ განსაზღვროს რამდენ გამოცდასაც თვლის მიზანშეწონილად და დააფიქსირა, რომ არ უჭერს ამ მიდგომას მხარს, რაზეც რეზო აფხაზავა და არჩილ სუმბაძეც დაეთანხმნენ. ექსპერტებმა განმარტეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეიძლება დაინიშნოს წელიწადში 2 გამოცდა, ხოლო ვიზიტის მსვლელობისას სკოლას წლიურად სამი გამოცდა ჰქონდა განსაძღვრული, რომელთა ნიშანიც მოქმედებდა საბოლოო წლიურ ნიშანზე, ტუმცა დაწესებულებამ მოიყვანა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში და მოხსნა მესამე გამოცდა.

მატერიალურ სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზის საპასუხოდ, დაწესებულებამ განმარტა, რომ აივანთან დაკავშირებით იყო უზუსტობა და დაწესებულება ელოდება მერიას, რათა მოხდეს შეცდომის გასწორება.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ 7 მასწავლებელი იყო ახალი მოსული და არ იყვნენ ჩართული სქემაში. ამასთან დაკავშირებით, საბჭომ მისცა რეკომენდაცია, ახალი ფანჯარა რომ გაიხსნება, ახალი მასწავლებლები ჩაერთონ პროცესში.

სკოლამ განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციაზე მოსწავლეების რაოდენობაზე - 600-ით ჰქონდა განსაზღვრული, თუმცა ახლა 570-ით ითხოვს განსაზღვრას, ვინაიდან მათი სურვილია, 1 ბავშვს ჰქონდეს 4 კვადრატული ფართი და სურთ, რომ გამოთავისუფლებელი ოთახები სწავლების გაუმჯობესებას მოხმარდეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ოპიზას ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 570-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ოპიზას (ს/კ:208218819) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 570-ით.

3. შპს ქორალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მაია ბოჭორიშვილმა და ლია ბერიძემ წარმოადგინეს:

პროგრამულ სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტების განხცადებით, მასწავლებლებს წინასწარ აქვთ დაგეგმილი შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარების განრიგი; მათი შესრულების შემდეგ კი ანალიზს უკეთებენ თითოეული მოსწავლის მიღწევებსა თუ ხარვეზებს, გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს, თუმცა, ამ მიმართულებით არაერთგვაროვანი სიტუაციაა და შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის ფორმა და მეთოდები დახვეწას საჭიროებს, რისთვისაც მიეცათ რეკომენდაცია.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების სქემები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განმსაზღვრელ შეფასებას და მხოლოდ ფრაგმენტულად გვხვდება მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლეებს აფასებენ სიტყვიერი კომენტარით, იშვიათად წერილობითი კომენტარით; როგორც გამოიკვეთა, აქტიურად არ იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის. მიეცათ რეკომენდაცია განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების საგაკვეთილო პროცესში აქტიურად და რელევანტურად გამოყენების თაობაზე. ასევე განმსაზღვრელი შეფასების სქემების/რუბრიკების დახვეწაზე; შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენების აუცილებლობაზე, მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის გამოსაყენებელ შესაფერის მეთოდებზე.

მატერიალურ სტანდარტთან მიმართებით, სკოლა ფლობს საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიის სრულ კომპლექტს. ვიზიტის დროს ქიმიის კაბინეტში არ აღმოჩნდა ონკანი და გამწოვი კარადა. სკოლას მიეცა აღნიშნული პრობლემის მოგვარების რეკომენდაცია. ვიზიტის დროს, ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა 17 ნოემბრით დათარიღებული ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმაში შეტანილი ცვლილება, რაც ითვალისწინებს პირველ სემესტრში გამწოვი კარადის და ონკანის დამონტაჟებას.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოხდა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ცვლილება და სემესტრის დასრულებისთანავე დაამონტაჟებდნენ საჭირო ინფრასტრუქტურას, ოღონდ ელოდებოდნენ სემესტრის დასრულებას, რათა სასწავლო პროცესისთვის ხელი არ შეეშალა.

დაწესებულების განცხადებით სკოლას ჰყავდა 469 მოსწავლე, კვოტა ჰქონდათ 750 მოსწავლეზე და სურდათ 770 მოსწავლემდე კვოტის გაზრდა. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ 770 ბავშვის მიღება შეუზლია დაწესებულებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქორალისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 770-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქორალს (ს/კ:206114195) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 770-ით.

4. ა(ა)იპ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ექსპერტებმა სერგო დურგლიშვილმა, ნატო გაბოშვილმა და პეტრე ბაბილუამ წარმოადგინეს:

პროგრამულ ნაწილთან მიმართებით, ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. მათ შორის არც სველი წერტილი. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლაში დამონტაჟებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ნაწილობრივ კონტროლს. სკოლას აქვს 5 ერთეული კამერა, ერთი გარე ხედვის კამერა და ოთხი შიდა. გარე ხედვის კამერები არ არის საკმარისი რაოდენობის. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის ფართი არ არის გამიჯნული ეკლესიისაგან, ეკლესიის ეზოს კარი მუდამ ღიაა და იქ არ არის არაინარი უსაფრთხოების ან დაცვის მექანიზმები.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, სკოლას ჰყავს 21 პრაქტიკოსი და 6 უფროსი მასწავლებელი. თუმცა, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა რიგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა პედაგოგების შერჩევასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას არ ყავს საკმარისი რაოდენობის სპორტის მასწავლებელი. ესაჭიროებათ სამი (ჭადრაკი, ძიუ დო, ლათინო-ამერიკული ცეკვები) და ყავთ მხოლოდ ერთი ბესიკ სხილაძე(ჭადრაკი) და ისიც არაა რეგისტრირებული ბაზაში როგორც პედაგოგი. ასევე არ არის რეგისტრირებული ბაზაში საგზაო მოძრაობის წესების და უსაფრთხოების პედაგოგი ბატონი ზურაბ რაჯებაშვილი. ამის გარდა ბაზაში დარეგისტრერიბულია პედაგოგად შესაბამისის სტატუსის გარეშე რელიგიის ისტორიის (ისწავლება ფალულტატურის სახით) მასწავლებელი მამა გაბრიელი (ასთიანი). მიუხედავად სკოლის ადმინისტრაციის მონდომებისა - სქემაში ჩართული პრაქტიკოსი პედაგოგები ჰყოლოდა - გამოუვალი ვითარების გამო იძულებული გახდა ხელშეკრულება გაეფორმებინა იმ პედაგოგებთან, რომლებსაც არა აქვთ მინიჭებული პედაგოგის სტატუსი. სკოლის დირექციის განმარტებით, აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ პედაგოგს აქვს სკოლაში მუშაობის გამოცდილება, ამასთანავე, ყოველი მათგანი აკმაყოფილებს სკოლისათვის საჭირო მოთხოვნებს, სკოლას აქვს გამოცხადებული ვაკანსია ჭადრაკის, ძიუ დოს, ლათინო-ამერიკული ცეკვებისა და საგზაო მოძრაობის წესების და უსაფრთხოების პედაგოგების.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა მდებარეობს ნახალოვკაში და იყო საპატრიარქოს საკუთრებაში. საპატრიარქომ სკოლას გადასცა შვიდი შენობა, აქედან ერთ-ერთი არის ეკლესია. ეზო სკოლას და ეკლესიას აქვთ საერთო და შეუძლებელია ეკლესიის და სკოლის ტერიტორიის გამიჯვნა. ვიზიტის მსვლელობისას ვიდეოკამერები არ ფარავდა სრულ პერიმეტრს, თუმცა აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა ეკლესიის მსახურები ექვემდებარებოდნენ თუ არა სკოლის დირექტორს, რაზეც ექსპერტმა გამუმარტა, რომ სასულიერო პირები არ ერევიან სკოლის ცხოვრებაში, რელოგიის ისტორია არის ფაკულტატივი და ასწავლიან, თუმცა არც ჩათვლა და არც შეფასება რელიგიის ისტორიაში არ ხდება. ასევე არჩევითია უნარები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაუჩნდა კითხვები სკოლის მისიასთან დაკავშირებით. დაინტერესდა რამდენად არის სტანდარტთან შესაბამისი ასეთი ჩანაწერი: „მომზადება ქრისტიანული ცხოვრებისთვის".

ექსპერტმა განმარტა, რომ მშობლებთან და სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრების დროს გამოივკეთა, რომ ყველანი იცნობდნენ სკოლის მისიას და მათთვის მიზაღები იყო ზნეობრივ აღზრდაზე აქცენტი.

სხდომის თავმჯდომარემ რეკომენდაცია გაუწია დაწესებულებას სკოლის მისიაში მომხდარიყო ცვლილება, ვინაიდან მისი მოსაზრებით, ზემოთ აღნიშნული შეიძლება იყოს ოჯახის მისია, ეკლესიის, პიროვნული განვითარების, მაგრამ არა სკოლის, რომელსაც სახელმწიფო ავტორიზაცია ენიჭება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ისწავლებოდა თუ არა სხვა ქვეყნის რელიგიაც, რაზეც ექსპერტმა განუმარტა, რომ სკოლაში ისწავლება ერთი რელიგიის ისტორია და არა სხვა რელიგიების.

საბჭოს წევრმა რეზო აფხაზავამ ხაზი გაუსვა, რომ საქმე გვაქვს საფრთხილო საკითხთან, ვინდაიდან ზოგჯერ სკოლები ცდილობენ ჩაანაცვლონ ეკლესიის ფუნქცია, რამაც შეიძლება უკუშედეგი გამოიწვიოს, ვინაიდან ეს არის ეკლესიია პასუხისმგებლობა და ფუნქცია და სკოლა ვერ მოახდენს ამ საკითხის რეგულირებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომელ სკოლას არ ჰყავდა საჭირო რაოდენობის სპორტის პედაგოგი, თუმცა მიიღეს ექსპერტთა რეკომენდაციის საფუზველზე და ხელშეკრულებებიც გააფორმეს.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გეგმაში აქვთ გაფართოება, რასაც სავარაუდოდ 2 წელი დასჭირდება, ხოლო დარბაზს მიმდინარე სემესტრში დაამთავრება.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა კვლავ შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს არ არსებობას, რაზეც საბჭო დაინტერესდა, წინა ავტორიზაციის დროს რატომ არ შეექმნა დაწესებულებას პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, არდადეგებს ელოდებიან და შემდეგ გააკეთებენ სველ წერტილს შშმ პირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, (ს/კ:400020696) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დასრულდა 16:10 საათზე.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე